ლელო გაცნობებთ:

- საჲ არის ქართული ჭიდაობის წესები?
- „ოქროს ქულები“—თანაბრად
- ვინ შეცვლის უინტერგოტომს?
- პელე იგებს მატჩს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

4
სექტემბერი
სამშაბათი,
1962 წ.
№ 174 (2023)
გამოცემის მე-19 წელი
ფასი 3 კაპ.

„ოსლოს თასი“— საბჭოთა ცხენოსნებს

ოსლოში დაიწყო სკანდინავიის ქვეყნების ცხენოსანთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა სპორტსმენებიც.

შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი პრიზი — „ოსლოს თასი“ საბჭოთა ცხენოსნებმა მოიგეს. ჩვენი სპორტსმენის, ნასიბოვის გამარჯვებით დამთავრდა 2-კილომეტრიანი დოღიც.

მომენტი განვლილი მატჩიდან თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის. მოსკოველთა კარის „დარაჯად“ მაყურებელმა ისევ იხილა ლ. იაშინი, რომელმაც ამ შეხვედრაში კარგი თამაში აჩვენა.

* * *

სურათზე: ლ. იაშინი იღებს ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

იტალია

წარუმატებლად გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები იტალიაში, სადაც ქალაქ სალოს მახლობლად მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის გათამაშება საველოსიპედო სპორტში.

საგზატკეცილო რბოლაში ქალთა შორის წარმატებას მიაღწიეს ბელგიელმა სტუდენტებმა. მარი როზ გაიარმა 12-კილომეტრიანი და 880-მეტრიანი წრე სხვაზე უკეთეს დროში გაიარა და მეხუთედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მომდევნო ადგილებიც გამარჯვებულის თანაგუნდელებმა დარჩათ: რეინდერსს და ნესენს. პურონენი (სსრკ) მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

ვაჟთა შორის უძლიერესები იყვნენ იტალიელი ველოსიპედისტები. მსოფლიო ჩემპიონი გახდა რ. ბონჯონი. ა. პეტროვმა ტურნირში X ადგილი დაიკავა, ხოლო ვ. კაპიტონოვმა — XI.

ა შ შ

ფორესტ-ჰილსში გრძელდება აშშ-ს ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნების უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად გამოდიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები თ. ლეიუსი, ს. ლიხაჩოვი, ა. დმიტრიევა და ა. მეტრეველი.

ტურნირის პირველი წრე წარმატებით გაიარა 17 წლის თბილისელმა ა. მეტრეველმა. თავიანთი პირველი შეხვედრები მოიგეს ა. დმიტრიევამ და თ. ლეიუსმაც. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ს. ლიხაჩოვისა და ამერიკელ მაკ-ნამუსის შეხვედრა.

პირველი პარტია მოიგო ლიხაჩოვმა — 6:4, მეორე პარტიაშიც უპირატესობა საბჭოთა ჩოგბურთელის მხარეს იყო—18:16. მესამე პარტიაში წარმატებას მიაღწია ამერიკელმა — 10:12, მაგრამ მოახლოვებული სიბნელის გამო მატჩი შეწყდა. იგი დამთავრდა მეორე დღეს. საბჭოთა ჩოგბურთელმა სუსტად ჩაატარა ორი დარჩენილი პარტია და დამარცხდა ანგარიშით 1:6 და 4:6. ამრიგად, გამარჯვება ორდღიან დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა ამერიკელმა მაკ-ნამუსმა,

ჩემპიონატის სტარტზე

კაუნასის „სპორტჰალეში“ დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში უმჩატესი, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონის მოჭიდავეებისათვის.

ჩემპიონატის პირველ წრეში სენსაციური დამარცხება განიცადა მსოფლიო ჩემპიონმა უმჩატეს წონაში რიბალკომ (ზაპოროჟიე). მან ქულებით წააგო ბრძოლა მინსკელ კოჩერგინთან. ამ უკანასკნელმა კარგად ჩაატარა მეორე წრის ბრძოლაც და წმინდად დაამარცხა ლენინგრადელი კოსტინი. რიბალკომ მეორე წრეში მოუგო ნოვოსიბირსკელ მოლდოევს.

წარმატებით გამოდის ამ წონით კატეგორიაში ბაქოელი საიდოვი. მან ორი შეხვედრიდან ორივე წმინდად მოიგო (ვოლკოვთან და ბაბაჩანთან). ორი წმინდა მოგება აქვს ნოვოსიბირსკელ კარავაევსაც.

ქვემსუბუქ წონაში წარმატებით აიღო სტარტი სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვირუპაევმა (ირკუტსკი). მან ორი სუფთა გამარჯვება მოიპოვა, დაამარცხა რაჯერ მელნიკოვი (ნოვოსიბირსკი), ხოლო შემდეგ უკრაინელი მისტულოვი.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ესებუა 6 წუთსა და 10 წამში დამარცხდა მოსკოველ კოციუბასთან. მეორე წრეში ესებუამ ქულებით დაამარცხა მოსკოველი ბლოხინი. ამ წრეში კიდევ ერთხელ ისახელა თავი კოციუბამ. მან საინტერესო ბრძოლაში მოუგო საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონს ზუბკოვსკის. ორი გამარჯვება (ქულებით) აქვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ამლაევსაც (ტაშკენტი).

ქვესაშუალო წონაში საექიმო კომისიამ ავადმყოფობის გამო შეჯიბრებიდან მოხსნა დათუსანი, ამიტომ ამ წონით კატეგორიაში, ისევე, როგორც უმჩატეს წონაში, საქართველოს არც ერთი მოჭიდავე არ გამოდის.

დამაჯერებლად მიიწევს ფინალისაკენ ესტონელი როოტსი. პირველ წრეში მან დაამარცხა მინსკელი ნიკოლაენოკი, ხოლო მეორეში — როსტოველი იაკოვენკო. ამ უკანასკნელმა წააგო ბრძოლა ლენინგრადელ ვერშინინთან და ფაქტიურად დაკარგა ფინალში გასვლის შანსი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა ტაშკენტელმა ეგოროვმა პირველ წრეში 4 საჯარიმო ქულა მიიღო, რადგან იგი, ისევე როგორც ნოვოსიბირსკელი ეგოლინი, პასიური ბრძოლისათვის მოიხსნა ბრძოლიდან. ორი მოგება (ქულებით) აქვს ლვოველ ივანკინსაც.

ქვემძიმე წონაში გაიმართა მხოლოდ პირველი წრის შეხვედრები. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა აბაშიძემ სარეკორდო დროში — 45 წამში წმინდად მოუგო ხარკოველ გაბლინსკის. საქართველოს მეორე წარმომადგენელმა სიხარულიძემ ქულებით დაამარცხა ბაკანაჩი (რსფსრ). დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია ლებედენკოს (მოსკოვი) და ანისიმოვის (მოსკოვი) გამარჯვება კოგანსა (რიგა) და გავრიშზე (დნეპროპეტროვსკი).

რა მდგომარეობაა ლიდერთა შორის 2 წრის შემდეგ? უმჩატეს წონაში არც ერთი საჯარიმო ქულა არ აქვთ არაქელოვს, საიდოვს, (ორივე ბაქო) და კოჩერგინს (მინსკი).

ქვემსუბუქ წონაში ასეთივე მდგომარეობა აქვთ ვირუპაევს (ირკუტსკი) და კოციუბას (მოსკოვი). ქვესაშუალო წონაში ჩემპიონატს ლიდერობს ესტონელი როოტსი — 1 საჯარიმო ქულა, ხოლო ქვემძიმეში — აბაშიძე (0 ქულა) და სიხარულიძე (1 საჯარიმო ქულა).

ი. კუპერმანი — ჩემპიონი

ასუჯრიანი შაშის 19 გამოჩენილი ოსტატი, რომლებიც შეიკრიბნენ ქ. უფაში, თითქმის მთელი აგვისტო იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. მხოლოდ პირველ სექტემბერს გამოირკვა ჩემპიონი. ეს იყო კიეველი გროსმაისტერი ი. კუპერმანი.

წინა წლებთან შედარებით 1962 წლის ჩემპიონატი გამოირჩეოდა უაღრესად დაძაბული ბრძოლით. მსოფლიო ჩემპიონ ი. კუპერმანს მეტოქეობას უწევდა საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონი 18 წლის რიგელი ოსტატი ა. ანდრეიკო. მსოფლიო ჩემპიონმა მხოლოდ შუა ტურნირში შეძლო ნახევარი ქულით დაწინაურება და ეს საბედისწერო აღმოჩნდა რიგელი ოსტატისათვის, რომელიც, მართალია, იგებდა პარტიებს, მაგრამ მაინც უნდა დაკმაყოფილებულიყო მეორე ადგილით. ი. კუპერმანმა 12,5 ქულა მოაგროვა, ხოლო ა. ანდრეიკომ — 12 ქულა 18-დან.

მესამე ადგილი წილად ხვდა ლენინგრადელ ვ. ეპიფანოვს (10,5 ქულა).

ცუდი ამინდის მიუხედავად

უკრაინის დედაქალაქში კიევში თავი მოიყარა 16 ქვეყნის 200-მდე უძლიერესმა ავიამოდელისტმა. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს პირველობა ავიამოდელო სპორტში,

ჩემპიონატის პირველ დღეს წვიმა და ქარი აძნელებდა მოდელების ნორმალურ ფრენას. ამის მიუხედავად, ტურნირის ბევრმა მონაწილემ საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა.

ასე მაგალითად, სწრაფ ფრენაში ტურნირის ლიდერის, იტალიელი რიჩის მოდელმა საათში 214 კილომეტრი განვითარა. ეს უდაოდ კარგი მაჩვენებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებს. პირველი დღის შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფება საბჭოთა მოდელისტი ტურკინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არის ქართული ჭიდაობის წესები?

ქართველი ხალხის კულტურა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. უნიკალურმა ლიტერატურულმა ძეგლებმა, რომლებზეც თაობები აღიზარდა და კვლავაც იზრდებიან, ისტორიის ქარცეცხლს გაუძლო და დღემდე მოაღწია. როცა ლაპარაკი გვაქვს ერის სულიერ კულტურაზე, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ერის, მისი ზრდისა და შენარჩუნების აუცილებელი ფაქტორი — ფიზიკური კულტურა. სწორედ ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობასა და ხალხურ თამაშებში ნაწრთობმა ვაჟკაცებმა დაიცვეს მკერდით ჩვენი წმიდათაწმიდა მიწა ათასი ჯურის დამპყრობთაგან და ხალხს მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის, ახლის შექმნისა და სხვადასხვა ქვეყნების კულტურის ათვისების საშუალება მისცა.



მაშასადამე ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, უფლება არა გვაქვს დავიწყებას მივცეთ ან შევბღალოთ ის, რაც დღემდე მოვიდა ჩვენამდე. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ხალხური სპორტის, კერძოდ, ქართული ჭიდაობის შესახებ.

სულ ერთი წლის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გაიშალა ცხოველი კამათი საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ შედგენილი ჭიდაობის ახალი წესების გარშემო. წესების შესახებ აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ხ. კეცხოველმა, მწერალმა ს. მთვარაძემ, ამ საქმის სპეციალისტმა აწ განსვენებულმა მ. ხერხეულიძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. მერკვილაძემ, ქართული ჭიდაობის ვეტერანმა ვ. წამალაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. დარისპანაშვილმა, მწვრთნელებმა, დაინტერესებულმა პირებმა. საერთო აზრით ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენ გვინდა ქართული ჭიდაობა შევინარჩუნოთ, როგორც ხალხური საუნჯე, როგორც ფართო მასების ფიზიკური გამოწრთობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, ამიტომ გაზეთის ფურცლებზე გამოთქმულ აზრზე დაყრდნობით უნდა დამუშავდეს წარმოდგენილი წესები. ეს დაევალა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს და, პირველ რიგში, ქართული ჭიდაობის ფედერაციას. ასეც უნდა მომხდარიყო. ორივე კომპეტენტური ორგანიზაციაა და ამ საქმის შესრულება მათი უპირველესი ამოცანა იყო. მაგრამ საქმე აქ გათავდა. ორივე ორგანიზაციას დღემდე არაფერი გაუკეთებია და ქართული ჭიდაობა თავის არსებობას განაგრძობს წესებით, რომელიც უკვე მოძველდა და აუცილებელ განახლებას საჭიროებს.

როდესაც ვლაპარაკობთ განახლებაზე, მხედველობაში გვაქვს ქართული ჭიდაობის ძირითადი არსის, თვითმყოფადობის შენარჩუნება. ჭიდაობამ არ უნდა დაკარგოს თავისი ეროვნული ელფერი, კოლორიტი. ესაა მთავარი. თუ ყოველივე ეს გაქრა, ქართული ჭიდაობა გადაიქცევა უაზრო ბღლარძუნათ და მისადმი ყოველგვარი ინტერესი დაიკარგება. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მთლიანად უარვყოთ თანამედროვე ელემენტების შეტანა ქართულ ჭიდაობაში და ახლაც ისე ვიჭიდავოთ, როგორც 50 წლის წინათ. საჭიროა სიახლე, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში მის კოლორიტსა და შინაარსს არ უნდა შეეხოს.

დროა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკვლევმა ინსტიტუტმა და ქართული ჭიდაობის ფედერაციამ სპეციალისტებთან ერთად დაადგინოს რა უნდა დარჩეს წესებში და რით უნდა გამდიდრდეს. მაგალითად, გადასაწყვეტია შეჯიბრების სარბიელის საკითხი. დღემდე მიღებული კვადრატი უნდა შეიცვალოს წრით, რადგან იგი თვით ჭიდაობის ხასიათიდან გამომდინარეობს, უნდა შეიცვალოს ჩვეულებრივი ლეიბი ნახერხით (ეს საჭიროა უკანასკნელ ხანებში გახშირებული ტრავმების თავიდან ასაცილებლად). გადასახედია აგრეთვე წონების, ჭიდაობის დროის, ქულების, ილეთების საკითხები და სხვ.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჩვენში ჭიდაობა კლასიფიცირებულია. ყველამ იცის, თუ ვინ ჭიდაობს კლასიკურს და ვინ—თავისუფალს. ქართულ ჭიდაობაში კი ასე არ არის, იგი გადაიქცა ტრამპლინად სხვა ჭიდაობებისათვის. მოჭიდავე, რომელიც ჩოხას მოირგებს და წრეში გამოვა, უნდა ჭიდაობდეს გამართულად, ჯიქურ, ვაჟკაცურად. სინამდვილეში კი რა ხდება? ზურნა უკრავს, მოჭიდავეებს ჩოხები აცვიათ და... ქართულ ჭიდაობას ვერ ვხედავთ. მოედანზე ვხედავთ კლასიკურ, თავისუფალ და ჭიდაობა სამბოს ნაერთს, წელში მოხრილ ჭიდაობას, სარბიელიდან გაქცევას და ქართული ჭიდაობისათვის სხვა უცხო ფაქტებს. ასეთი მდგომარეობა ანელებს ქართული ჭიდაობისადმი ინტერესს და ყოველ წელს ამცირებს შეჯიბრებაში მონაწილეთა და თვით შეჯიბრების რიცხვს. ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ ქართული მოჭიდავე მოკლებულია სტიმულს. პირველი თანრიგის მოპოვების შემდეგ თავდება მისი სათანრიგო ზრდა. ამიტომ იგი გადადის სხვა ჭიდაობაში ოსტატობის მოპოვებისათვის.

საქართველოს სპორტკავშირის ინიციატივით შემოღებულ იქნა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის და საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები. ეს ორივე ღონისძიება დიდად ეხმარება სპორტსმენის შემდგომ სტიმულირებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკის სპორტკავშირი ეროვნულ სახეობაში ოსტატის წოდების შემოღებასაც მიაღწევს.

მაშასადამე, პირველ რიგში გვჭირდება ჭიდაობის წესები, რომელიც გაითვალისწინებს ყველა დეტალს და ერთნაირად იქნება ხელმისაწვდომი ყველა მასშტაბის ორგანიზაციისათვის. უფლება არა გვაქვს ჩვენი დაუდევრობით მომავალ თაობას გადავცეთ ქართული საუნჯის ერთერთი შესანიშნავი მარგალიტი დამახინჯებული სახით.

მაშ ხელი მოვკიდოთ საქმეს. საამისო გამოცდილება და ცოდნაც გვაქვს. წესების შედგენა უკვე დაუშვებლად გაჭიანურებულია, ნუღარ გადავდებთ, ყურად ვიღოთ სპორტის მოყვარულთა სამართლიანი გულისწყრომა.

კრასნოდარის მხარეში

განხორციელდა ჩვენი ტურისტული რაზმის დიდი ხნის ოცნება. მონაწილეობდა რა ერთ და მრავალდღიან ტურისტულ ლაშქრობებში, იგი გულდაგულ ემზადებოდა მრავალდღიანი ლაშქრობის ჩასატარებლად.

ჯგუფი ძირითადად დაკომპლექტებულ იქნა ქუთაისის მე-9 და მე-13 სკოლის ტურისტებისაგან. უკანასკნელი სამზადისიც დამთავრებულია, საექიმო შემოწმებამ ცხადყო ჯგუფის შემადგენლობის ვარგისიანობა.

მიუხედავად ხშირი წვიმებისა, ნორჩი მოგზაურები თავს კარგად გრძნობდნენ. ვაგრძელებთ გზას. შუადღისას რიწის ტბაზე ავედით, დღის ბოლოს კი სოფ. ავადხარაში. ლამაზია მაღალი წიწვოვანი მცენარეებით დაფარულ ხეობაში ჩაძირული სოფელი. მეორე დილით ყველაზე ადრე მორიგეები დგებიან და სანამ ისინი საუზმეს დაამზადებდნენ, ყველანი კოცონის ირგვლივ ფუსფუსობენ — ემზადებიან რთული ლაშქრობისათვის.

კიდევ ერთხელ ვაზუსტებთ მარშრუტს და მწყობრი ნაბიჯებით ვუახლოვდებით მაღალ მთას, საიდანაც ბილიკები უღელტეხილისაკენ მიემართება.

კრასნაია პოლიანას ტურისტულ ბაზამდე დარჩენილია 15 კმ. გვახარებს ფართო სამანქანო გზა და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან დასასვენებლად თუ სამკურნალოდ ჩამოსულ ადამიანებთან საუბარი.

უკან ჩამოვიტოვეთ სოფლები რუდნიკი, უზარმაზარი წყალვარდნილით ცნობილი ესტო-სადოკი და დღის ბოლოს უკვე კრასნაია პოლიანას ტურისტული ბაზის კართან ვართ.

გულლიად გვეგებებიან ტურისტული ბაზის უფროსი ინსტრუქტორები. მათ სწრაფად გამოგვინახეს დასასვენებელი ადგილი, იქვე ეზოში შეგვირჩიეს სამზარეულოს გასამართი კუთხეც. ერთი სიტყვით, მათ ყოველგვარი პირობები შეგვიქმნეს ბაზაში უკეთ მოსასვენებლად. საღამოს სხვებთან ერთად ჩვენც საცეკვაო მოედანზე ვიკრიბებით. ვის არ ნახავთ იქ, ტურისტებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ოდესიდან, ვორონეჟიდან, დონეცკიდან, სარატოვიდან, კაუნასიდან, რიგიდან და სხვ.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე კრასნაია პოლიანამ, მისმა აურაცხელმა ღირსშესანიშნაობებმა, ლამაზმა ბუნებამ. შემდეგ დარიალისაკენ გავემართეთ.

ჩვეულებრივად ტურბაზაში მივდივართ, კარვებს მდ. მზიმთის მარჯვენა ნაპირზე, მწვანე ბუჩქებს შორის პატარა მდელოზე ვშლით.

რამდენიმე დღე ადლერში დავყავით, დავათვალიერეთ მისი ღირსშესანიშნაობანი, დავისვენეთ ზღვაზე, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა მთაში მოგზაურობის შემდეგ.

მრავალი დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღვსილნი ვბრუნდებით მშობლიურ ქალაქ ქუთაისში.

შ. ჩიმაკაძე

კორესპონდენტები გვატყობინებენ

ქობულეთი

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ინიციატივით ტრადიციულად ეწყობა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება. წლევანდელ გათამაშებაში ერთმანეთს ეცილებოდა 10 გუნდი.

სამდღიანი ბრძოლის შემდეგ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქის რკინიგზის სადგურისა და ტორფის ქარხნის საცხოვრებელი სახლის ნორჩი ფეხბურთელები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ამ უკანასკნელებმა, რომლებსაც გადაეცათ გარდამავალი ჯილდო.

ლ. ტრაპაიძე

გალი

გალში დამთავრდა ორი სპორტული საზოგადოების — „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ რაიონული სპარტაკიადები. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონულ სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო ხუთი საბჭოთა მეურნეობის 150-ზე მეტმა სპორტსმენმა. შეჯიბრების პროგრამაში იყო სროლა, ფრენბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი, მძლეოსნობა. სპარტაკიადაში გუნდური ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: პირველი საპრიზო ადგილი წილად ხვდა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებს, მეორე — გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ხოლო მესამე — კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივებს.

„კოლმეურნის“ რაიონულ სპარტაკიადაზე 38 ახალგაზრდამ შეასრულა სათანრიგო ნორმები.

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ სპარტაკიადაში მონაწილეობდა აგრეთვე ხუთი გუნდი. შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის, მეორეზე — ნაბაკევისა, ხოლო მესამეზე — გალის ჩაის ფაბრიკის სპორტსმენთა კოლექტივები.

ს. ხვისტანი

სიღნაღი

დამთავრდა „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ფეხბურთში.

I ქვეჯგუფში გაიმარჯვა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა, ხოლო II ქვეჯგუფში — ძველი ანაგის ფეხბურთელებმა. გადამწყვეტი მატჩი ამ ორ გუნდს შორის მოიგეს ძველი ანაგის ფეხბურთელებმა.

ნ. მღებრიშვილი

გათამაშების ცხრილები
მდგომარეობა 4 სექტემბრისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	17	12	4	1	39—17	28
ცსკა	18	10	7	1	28—8	27
„შახტიორი“ (დონეცკი)	15	8	3	4	25—19	19
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	17	7	4	6	29—20	18
სკა (როსტოვი)	18	5	7	6	29—25	17
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	16	6	5	5	23—20	17
„კაირატი“ (ალმა-ატა)	16	3	8	5	14—17	14
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	17	3	5	9	15—27	11
„დაუგავა“ (რიგა)	17	4	3	10	14—26	11
„სპარტაკი“ (ერევანი)	16	4	3	9	13—29	11
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	15	1	7	7	10—31	9

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	16	9	4	3	37—16	22
„დინამო“ (თბილისი)	17	8	6	3	26—15	22
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	16	9	3	4	35—17	21
„დინამო“ (მოსკოვი)	16	8	5	3	23—13	21
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	17	6	7	4	19—19	19
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	18	5	7	6	23—24	17
„ბელარუსი“ (მინსკი)	17	5	4	8	16—20	14
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	17	5	3	9	13—24	13
„დინამო“ (ლენინგრადი)	17	4	5	8	13—34	13
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	17	4	3	10	19—28	11
„ტორპედო“ (ქუთაისი)	16	3	5	8	17—32	11

ბოლო დღეებში შედგა ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი „ა“ კლასის ორივე ქვეჯგუფში. ახლა, როცა წინასწარი გათამაშება დასასრულს უახლოვდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვითეულ ქულას, მაგრამ არის შეხვედრათა გარკვეული კატეგორია, რომელთა შედეგს ფაქტიურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მოწინააღმდეგეთათვის. თუ მაგალითად, პირველ ექვსეულში მყოფი გუნდი ხვდება აუტსაიდერს, ასეთი მატჩის შედეგად მიღებული ქულები ჩემპიონატის ცხრილში იარსებებენ მხოლოდ 25 სექტემბრამდე, ე. ი. სანამ დამთავრდება შეჯიბრება ქვეჯგუფში. ამის შემდეგ ეს ქულები წაიშლება.

სანიმუშოდ შეიძლება ავიღოთ მოსკოვის „ტორპედოსა“ და ხარკოვის „ავანგარდის“ მატჩი. იგი მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 1:0, მაგრამ რომ პირიქით მომხდარიყო, ეს არ შეცვლიდა არც „ტორპედოსა“ და არც „ავანგარდის“ საბოლოო მდგომარეობას.

დაახლოებით ამავე კატეგორიას მიეკუთვნება სხვა მატჩებიც: „სპარტაკი“ (ერევანი)-სკა (როსტოვი)— 2:1, „დაუგავა“ (რიგა)-„შახტიორი“ (დონეცკი) — 2:0, „დინამო“ (კიევი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 1:0, „პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)—2:1, თუმცა როსტოველებსა და ტაშკენტელებს ჯერ კიდევ ჰირდებათ ქულების დაგროვება პირველ ექვსეულში ადგილის განმტკიცებისათვის.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ მატჩს: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „ბელარუსი“ (მინსკი)-„დინამო“ (ლენინგრადი). ორივე დამთავრდა ფრედ (0:0 და 2:2 შესაბამისად) და მოწინააღმდეგეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

გუშინ, მოსკოვში, ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ბაქოს „ნეფტიანიკი“. მატჩი მოიგო „სპარტაკმა“ — 3:0.

„ოქროს ქულები“ — თანაბრად

შეუძლებელია ლაპარაკი გუშინდელ მატჩზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის უდიდეს მნიშვნელობას ჩემპიონატის საბოლოო შედეგების გათვალისწინებისას. პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია საკითხი, რომ თბილისისა და მოსკოვის დინამოელები გათამაშების ფინალში „უმაღლეს დონეზე“ გავლენ და მეტს აღარც შეხვდებიან ერთმანეთს, ამიტომ მატჩის შედეგად მიღებულ აქტივსა და პასივში ორივე გუნდი მაქსიმალურად იყო დაინტერესებული.

რა თქმა უნდა, ასეთი მატჩები დაკავშირებულია უდიდეს ნერვულ დაძაბულობასთან, გუნდის თვითეული წევრი იმყოფება მასზე დაკისრებულ რთულ მოვალეობათა გავლენის ქვეშ და ცდილობს მის წინაშე მყოფი 90 ძნელი და საპასუხისმგებლო წუთი ჩაატაროს, რაც შეიძლება უკეთ, ჩაატაროს უშეცდომოდ. მაგრამ ხშირად ხდება, რომ სწორედ ეს პასუხისმგებლობა ბოჭავს მის ფსიქიკას, ზღუდავს მის შემოქმედებითს თავისუფლებას, სითამამეს და აქვეითებს ინიციატივის გრძნობას.

სწორედ ამ ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა თბილისელთა თამაშზე პირველ ტაიმში და შეიძლება ითქვას, რომ ეს 45 წუთი მიმდინარეობდა არა ჩვენი, არამედ სტუმართა გუნდის გეგმით. თბილისელებმა გადაჭარბებით შეაფასეს მოსკოვის „დინამოს“ საერთო შესაძლებლობანი და ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალური ძალა, ამ თავისებური გაზვიადების გამო თბილისელებმა ვერ ითამაშეს მთლიანი, ერთიანი შეტევით, სწრაფი, ხშირი გარღვევებით და ნახევარდაცვის აქტიური იერიშით. საჭირო იყო ტემპი განუწყვეტელი, შეუსვენებელი ტემპი, დეზორგანიზაციის შეტანა მოწინააღმდეგის დაცვის რიგებში. ამის ნაცვლად ჩვენი გუნდის თამაში მიმდინარეობდა ხშირი, მოკლე გადაცემებით მინდვრის შუაგულში და ამ გადაცემათა დიდი უმრავლესობაც ვერ პოულობდა ადრესატს. როგორც კი იწყებდნენ სახიფათო პოზიციაში გასვლას იამანიძე, ბარქაია და განსაკუთრებით მესხი, მათ წინაშე იმართებოდა მოსკოველთა დაცვის გაძლიერებული კედელი, სადაც რეგულარულად ჩამოდიოდნენ ფორვარდები წინა ხაზიდან.

მკაფიოდ გამოკვეთილი ტაქტიკური ნახაზი არცერთ გუნდს არა ჰქონდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 4 მოთამაშეს დაცვაში). მოსკოველებმა მკაცრი პერსონალური მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს მოწინააღმდეგე თავდამსხმელები და თბილისელებიც ასევე მოიქცნენ დასაწყისში. საბოლოოდ, ეს წყვილები ფეხმოუცილებლად დასდევდნენ ერთმანეთს მინდვრის მთელს ტერიტორიაზე, ყოველ ზონაში.

ტექნიკური მომზადების მხრივ თბილისელები აშკარად ჯობნიდნენ მეტოქეებს. ეს ნათლად იგრძნობოდა ყოველ სათამაშო ეპიზოდში, ყოველი ორთაბრძოლისა და ამის საწინააღმდეგოდ მოსკოველებმა საკმაოდ „ორიგინალურ“ ტაქტიკას მიმართეს: როგორც კი წააგებდა ბურთს რომელიმე მოთამაშე, იგი მაშინვე აკრძალული ილეთით ახდენდა ამ წაგების კომპენსაციას თუ წაგებული თვითონ ვეღარ ასწრებდა ამ „ფუნქციის“ შესრულებას, მას დაუყოვნებელი დახმარება ჰქონდა უახლოესი პარტნიორისაგან. ეს ურთიერთმოქმედება მოსკოვის „დინამოში“ კარგადაა დამუშავებული. მართალია, ასეთ უხეშობას ტრავმა არ მოაქვს, მაგრამ საჯარიმო დარტყმის გათამაშება ყოველთვის ვერ მოიტანს ისეთ სარგებელს, როგორსაც გარღვევაზე გასული მოთამაშე, ამიტომ ამ განუწყვეტელი ჯარიმებით მოსკოველები ნამდვილ ხსნას პოულობდნენ სახიფათო მომენტებში.

პირველ ტაიმში ბრძოლას უაღრესად დაძაბული, მძაფრი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ თავდამსხმელთა მთელი საქმიანობა, როგორც წესი, არ სცდებოდა საჯარიმო მოედანს და ორივე მეკარე შიშის განცდაში უფრო იყო, ვიდრე თვით რეალური საშიშროების წინაშე. კარში დარტყმები თითქმის არ იყო.

ერთ-ერთი ასეთი პირველი დარტყმა განახორციელა 29-ე წუთზე მოსკოველთა ნახევარმცველმა მასლოვმა დაახლოებით 20 მეტრიდან. მის წინ წამით დარჩა ღია გზა კარისაკენ და ეს წამი მასლოვმა დაუყოვნებლივ გამოიყენა. ეს იყო ბურთი, რომელიც ჩვენი მეკარის სპეციალობას წარმოადგენდა, მაგრამ კოტრიკაძემ დროზე ვერ მისცა რეაქცია მომხდარ ამბავს, დააგვიანა და გაუშვა გოლი — 0:1.

თბილისურმა ვულკანმა მხოლოდ მეორე ტაიმში ამოხეთქა. მატჩის სადებიუტო ნაწილის შებოჭილობისაგან გუნდმა მთლიანად გაიხსნა ხელ-ფეხი შესვენების შემდეგ და სრული ბრწყინვალებით ჩაატარა მატჩის დასკვნითი ნაწილი. ტონი ამაში მისცეს მესხმა და ჩოხელმა. მესხისათვის არ არსებობდა ერთი ან ორი მოწინააღმდეგე, იგი მეტეორივით დაჰქროდა მოსკოველთა დაცვის განლაგებაში და არღვევდა მის წინაშე აღმართულ ყოველგვარ ზღუდეს. დაცვიდან წინ გადმოინაცვლა ჩოხელმა, გაცილებით უკეთ, ვიდრე პირველ ტაიმში ითამაშეს იამანიძემ, გ. სიჭინავამ და სხვებმაც, ხოლო ბარქაიამ გაიტანა შესანიშნავი გოლი, რომელზეც მხოლოდ შეიძლევა იოცნებოს უმაღლესი კლასის ფორვარდმა. მე-17 წუთზე ჩოხელი შორეული რეიდით გავიდა მარცხენა ფლანგზე, მიაწოდა ცენტრში, აქ ბურთი გათამაშდა ლაკონურად, სწრაფად და მთელი კომბინაცია შეუჩერებლად მათემატიკური სიზუსტით დაამთავრა ბარქაიამ — 1:1.

მთელი ტაიმის განმავლობაში განუწყვეტლივ უტევდნენ თბილისელები სტუმართა კარს. იაშინის კართან კვანძი უნდა გახსნილიყო თითქმის ყოველ წუთზე, მაგრამ ეს „კვანძი“ საბოლოოდ მაინც გაუხსნელი დარჩა. მოსკოველებმა გაუძლეს მასპინძელთა ამ კოლოსალურ შტურმს და გადაარჩინეს მატჩი წაგებას — 1:1.

„ოქროს ქულები“ კონკურენტებს შორის ასეთივე შეფარდებით გაიყო — 1:1.

რ. ქორიძე

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 2 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 1:1 (0:1).

მოსკოვი: იაშინი; კესარევი, რიაბოვი, მუდრიკი; მასლოვი, ცარევი; კოროლკოვი, ვშივცევი (ივანოვი), კოროლენკოვი, ნიკოლაევი, ფადეევი.

თბილისი: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი; ზეინკლიშვილი, იამანიძე; დათუნაშვილი, გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია (მელაშვილი), მესხი.

მსაჯი ე. კლავსი (რიგა).

• • •

განსაკუთრებით აქტიური იყო თბილისელთა მცველი გ. ჩოხელი. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ, თუ როგორ იწყებს იგი რეიდს მოწინააღმდეგის ნახევრისაკენ; ქვედა სურათზე ნაჩვენებია თბილისელთა გუნდის კაპიტანი შ. იამანიძე, რომელიც უკუტრიალით გზავნის ბურთს მოსკოველთა კარისაკენ.

ფოტო მ. ზარგარიანისა

„დინამო“ (ბათუმი)- „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — 4:2

ბათუმისა და ფერგანას ფეხბურთელთა მატჩს ცუდი ამინდი დაესწრო. ხანგრძლივი წვიმის გამო მინდორი საგრძნობლად დამძიმდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბათუმელებმა კარგად დაგეგმეს თამაში და ეფექტურად წარმართეს შეტევები.

უკვე მე-8 წუთზე ზუხბაიამ გახსნა ანგარიში — 1:0. ტაიმის ბოლო წუთზე დინამოელებმა კარგად გაითამაშეს კუთხური ბურთი: შაფათავა-ყურშუბაძე და ამ უკანასკნელმა მეორე ბურთი გაიტანა „ნეფტიანიკის“ კარში.

მეორე ტაიმი პირველის ანალოგიას წარმოადგენდა. ბათუმელები ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს ფერგანელთა კართან. მე-13 წუთზე ყურშუბაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ დაიჭირა, მაგრამ... კარის ხაზს იქით და გოლი ფიქსირებულ იქნა. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და დიმანოვის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 4:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

მაგრამ ბათუმელებმა ნაადრევად მიიჩნიეს საქმე მოთავებულად და შეასუსტეს ყურადღება. მართალია, მათ გამარჯვება ხელიდან არ გაუშვიათ, მაგრამ ის ორი ბურთი, რომლებიც მათ მიიღეს საკუთარ კარში, აშკარა თვითდამშვიდების მიზეზია.

ვ. მოსეშვილი

• • •

განვლილ კვირას ფოთის „კოლხიდამ“ საკუთარ მინდორზე მიიღო „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის ერთ-ერთი ძლიერი გუნდი — ლენინაბადის „პამირი“. დაძაბული ბრძოლის შემდეგ „კოლხიდამ“ განიცადა მარცხი ანგარიშით 1:3.

დღეს განმეორებითი მატჩია

გუშინ, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების ფინალი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ზესტაფონის „მეტალურგისა“ და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

განმეორებითი შეხვედრა შედგება დღეს, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. იგი დაიწყება 16 ს. 30 წ.

მოძმე რესპუბლიკებში

არწივი იჭერს მგელს

თუ მაგალითად, ფრუნზეში (ყირგიზეთი) სპორტის მოყვარულთა ძირითად გასართობს ფეხბურთი წარმოადგენს, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში ათასობით მაყურებელს იზიდავს ნაციონალური სახეობანი.

ყირგიზეთში ქალები მამაკაცებზე ნაკლებად როდი ფლობენ ცხენოსნობის წესებს. აქ ყველაზე გავრცელებულია დოღი, რომლის ერთ სახეობას წარმოადგენს „ქიზ კუმაი", ანუ დევნა საცოლის დასაჭერად.

„ატ-ჩაბიშიც" დოღის სახეობაა, სადაც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც მამაკაცებს, ისე ქალებსა და მოზარდებს. 1959 წელს ლაიპციგის საერთაშორისო ბაზრობაზე წარმატებით გამოდიოდა ყირგიზეთის უნივერსიტეტის სტუდენტი ა. ემილკანოვა, რომელმაც არაერთი მამაკაცი დაამარცხა დოღში. ამავე ბაზრობაზე თავი ისახელა აგრეთვე ისიკ-ყულის მწყემსმა ა. მამბეტოვმა. იგი რესპუბლიკის უძლიერესი „ოოდარიშისტია". ამ თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორი მხედრის ბრძოლაში ერთ-ერთმა მოწინააღმდეგე ძირს უნდა დასცეს ცხენიდან.

ყირგიზეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ცხენოსანთა გუნდური შეჯიბრება „ულან-ტარტიში". ორი ჯგუფი ცდილობს უფრო ადრე გაირბინოს 500 მეტრი, შეუცდომლად დაძლიოს ყველა წინააღმდეგობა, მოიტაცოს სანიშნე თხის ტყავი და მიიტანოს იგი ფინიშზე.

მაგრამ ყირგიზეთში ყველაზე მეტად მაინც სპორტის ისეთი სახეობაა გავრცელებული, როგორიცაა მთის არწივებით ნადირობა მგლებსა და სხვა მტაცებლებზე. ძველ მონადირეთა შეჯიბრება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. დღემდე რესპუბლიკაში ცნობილია ს. ჯოლომანოვი, რომელმაც დაიჭირა და გაწვრთნა 60 მთის არწივი და მათი საშუალებით დაიჭირა 2.000 მელა, 100 მგელზე მეტი და რამდენიმე ათასი კურდღელი.

ნეკროლოგი

ა. ა. მდივანი

გარდაიცვალა ქართული სპორტის ვეტერანი ალექსანდრე (რობერტ) ალექსანდრეს-ძე მდივანი.

ამხ. ა. მდივანი დაიბადა 1908 წელს, 1931 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და დღემდე მუშაობდა ინჟინრის თანამდებობაზე. თავის მდიდარ გამოცდილებას ახმარდა რესპუბლიკის მშენებლობის განვითარებას. თავდადებული მუშაობისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება.

ამხ. მდივანი იყო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი პირველი ცენტრალური თავდამსხმელი. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული კალათბურთის პირველი წარმატებები საკავშირო სარბიელზე. იგი რამდენჯერმე საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრების წევრი იყო და საქართველოს კალათბურთელთა შორის პირველს მიენიჭა სპორტის ოსტატის სახელი.

ამხ. ა. მდივნის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ფეხბურთის ახალი ამბები

ვინ შეცვლის უინტერბოტომს?

ინგლისის ნაკრების მწვრთნელის უოლტერ უინტერბოტომის გადადგომამ აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლა და აყალ-მაყალიც კი გამოიწვია. ჟურნალისტთა და სპეციალისტთა დიდი უმრავლესობა ამ ფაქტს კმაყოფილებით შეხვდა. ეს ჯგუფი ეყრდნობოდა იმას, რომ უინტერბოტომის ხელმძღვანელობით ინგლისის ნაკრები მრავალი წლის განმავლობაში წარუმატებლად გამოდიოდა. მწვრთნელს წამებდნენ მოუქნელობასა და კონსერვატიზმს. ასეთი წმინდა ფორმალური მოტივების წინააღმდეგ ილაშქრებდა უინტერბოტომის მომხრეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ხაზს უსვამდა მწვრთნელის თვალსაჩინო ერუდიციას და დამარცხების მიზეზებს სულ სხვა რამეში ხედავდა. ასეა თუ ისე, უინტერბოტომის გადადგომა დღეისათვის გადაწყვეტილი ამბავია.

მაინც ვინ იქნება მრავალნაცადი უინტერბოტომის შემცვლელი? წამოყენებულ იქნა 5 მწვრთნელის კანდიდატურა. ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ უძლიერეს მცველად ითვლება რამსეი, რომელსაც საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის უდიდესი გამოცდილება აქვს. მაგრამ, რა თქმა უნდა, პრაქტიკული ფეხბურთელის ბრწყინვალე კარიერა საკმარისი არაა, რომ მას ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა მიანდონ. და აი უკანასკნელ წლებში რამსეიმ დიდი ყურადღება მიიპყრო, როგორც მწვრთნელმა. მისი ხელმძღვანელობით შარშან პროვინციულმა „იპსვიჩმა" ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ძნელ მეტოქეებთან ბრძოლაში და მეორე ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა. ეს კიდევ არაფერი. 1961-62 წლების სეზონში „იპსვიჩმა", რომელიც პირველი ლიგის დებიუტანტი იყო, ჩაიდინა ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში გაუგონარი გმირობა — კვლავ პირველი ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ რამსეის „წონა" ინგლისში მეტად გაიზარდა და სწორედ ამიტომ იგი წამოყენებულ იქნა ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად.

ინგლისის ფეხბურთში მეტად კოლორიტულ ფიგურად ითვლება „ბერნლეის" ნახევარმცველი ჯიმ ადამსონი. 1961-62 წლების სეზონის დამთავრების შემდეგ იგი მიჩნეულ იქნა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად. შემდეგ იგი ჩილეში გაემგზავრა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში. აქ თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია და სინამდვილეში უინტერბოტომის თანაშემწე იყო. ინგლისში ადამსონი ითვლება მეტად ერუდირებულ და გონებამახვილ ადამიანად. მიაჩნიათ, რომ იგი შეძლებს „მოაწესრიგოს" ინგლისის ნაკრების „აწეწილი საქმეები".

დიდი ავტორიტეტი აქვს „ტოტენჰემის" მწვრთნელს ბილ ნიკოლსონს, რომლის ხელმძღვანელობითაც ლონდონელების კოლექტივი არა მარტო ინგლისის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი გახდა.

რა თქმა უნდა, სპორტულ სამყაროს წინაშე არავითარ რეკომენდაციას არ საჭიროებს ბილ რაიტიც, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ნაკრების კაპიტანი და უმაღლესი საერთაშორისო კლასის ფეხბურთელი იყო. რაიტი უკანასკნელი წლების მანძილზე სათავეში ედგა ინგლისის ჭაბუკთა ნაკრებს. ადრე რამდენჯერმე იქნა წამოყენებული მისი კანდიდატურა უინტერბოტომის ადგილზე. ბილ რაიტი ეს-ეს არის სათავეში ჩაუდგა ლონდონის „არსენალს". მწვრთნელის პოსტზე კიდევ ერთი, მეხუთე კანდიდატურაა წამოყენებული — წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი გრინვუდი.

თუ რომელი მათგანი დაიკავებს ვაკანტურ ადგილს, ეს ჯერჯერობით ცნობილი არაა. ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის უახლოესმა სხდომამ.

პელე იგებს მატჩს

როგორც იქნა, დამთავრდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში. ამ სკანდალური ტურნირის ფინალი ამ დღეებში შედგა არგენტინის დედაქალაქში.

ურუგვაის „პენიაროლს" ორჯერ მოუხდა ჩასვლა ბუენოს-აირესში და ორივე ამ მგზავრობის ანაზღაურება ჯარიმის სახით დაეკისრა ბრაზილიის „სანტოსს", რომლის მიზეზითაც ჩაიშალა ადრე დანიშნული ფინალი ბუენოს-აირესში. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ ყველა ღონისძიებას მიმართა გადამწყვეტი მატჩის შესაფერისად ჩატარებისათვის და ჰოლანდიიდან სავანგებოდ მოიწვია ცნობილი ევროპელი მსაჯი ლ. ჰორნი.

„სანტოსის" ხელმძღვანელობამ ამჯერად სრულიად უშფოთველად გადაიხადა ჯარიმა და ასევე დამშვიდებით გამოიყვანა თავისი გუნდი მინდორზე. იგი სავსებით დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, ვინაიდან ჩილეში მიღებული ტრავმის შემდეგ „სანტოსის" შემადგენლობაში პირველად თამაშობდა პელე.

და პელემ მართლაც მოუტანა გამარჯვება გუნდს. მან ბრწყინვალედ ითამაშა და ბრაზილიელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 3:0.

პრიზი მოიგო „სანტოსმა" (სან-პაულუ).

ტურისტთა საკავშირო შეკრება

ამ დღეებში მდინარე კოდორის სათავეებთან სოფელ აჟარას პირდაპირ გაიშალა დიდი ტურისტული ბანაკი. აქ თავი მოიყარა ჩვენი ქვეყნის 46 ქალაქის 530 ტურისტმა. „სპარტაკის" ინიციატივით აქ მოეწყო ტურისტთა II საკავშირო შეკრება, რომელსაც წინ უსწრებდა ტურისტთა საქალაქო, რაიონული, საოლქო და სამხარეო შეკრებები ადგილებზე, ამ შეკრებებზე გამოვლინდნენ ტურიზმის საუკეთესო აქტივისტები.

როცა დამთავრდა ადგილებზე წინასწარი შეკრებები, საუკეთესოებმა თავი მოიყარეს ბაქსანის ხეობაში. აქ ისინი დაიყვნენ 7 დამოუკიდებელ ჯგუფად, რომელთაგან თვითეულს სხვადასხვა გზით უნდა გაევლო 180-დან 250 კილომეტრამდე და თავი უნდა მოეყარათ აწყურის ზემოხსენებულ შეკრებაზე. აფხაზეთის ამ მთიან სოფელში შეკრების მონაწილეებმა ჩაატარეს ტურისტული მუშაობის გამოცდილების გაზიარების საკავშირო თათბირი.

შეკრების ოფიციალურ გახსნაზე მოვიდნენ მრავალრიცხოვანი სტუმრები ახლომდებარე სოფლებიდან, სოხუმიდან, ზუგდიდიდან, წებელდიდან და სხვა რაიონებიდან. შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ სოხუმის რაიონული ალმასკომის, პროფკავშირების, აფხაზეთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის წარმომადგენლები. შემდეგ გაიმართა შეჯიბრებანი ტურიზმის უმცროსი ინსტრუქტორის წოდების მოსაპოვებლად.

დასასრულს შეკრებილთ სიტყვით მიმართა ჩვენი ქვეყნის უხუცესმა ტურისტმა მოსკოველმა ი. ვოიტეხოვმა. მან დიპლომები გადასცა იმათ, ვინც ჩააბარა გამოცდები ტურიზმის უმცროსი ინსტრუქტორის წოდებაზე, გამოსასვლელი დღის ლაშქრობათა ხელმძღვანელებსა და სამთო ტურიზმის ინსტრუქტორებს.

ვ. სემიონოვი

კარგია ბუნების წიაღში სუფთა ჰაერზე ვარჯიში. სურათებზე: (ზევით) რინგის თეთრი კვადრატი არ ჩანს, მაგრამ ბალახზეც კარგად გრძნობენ „მოკრივენი" თავს; (ქვევით) სანამ ლაშქრობას შეუდგებოდე, კუნთებს უხდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

ახალგაზრდა მხატვართა კლუბი

ნახ. ლ. სიხარულიძისა.



რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09492